დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "ინტერბიზნესის აკადემიაში" „სკოლამდელი აღზრდის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ ინტერბიზნესის აკადემია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი წარმოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

I. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2022 წლის 22 ნოემბერს გამოცემული MES 322001493511, ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს „ინტერბიზნესის აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2022 წლის 30 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს „ინტერბიზნესის აკადემიაში“ წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 40-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 38 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 90 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

<u>**დამატებით გამოვლენილი გარემოება:**</u>

დამატებითი გარემოებები არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

II. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის თეორიული კომპონენტის დადასტურების მიუკერძოებელი, სანდო და გამჭვირვალე სისტემა ელექტრონული პლატფორმის გამოყენების გზით.

III. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

V.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არდაფიქსირებულა

VI.განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის #01–31 ბრძანება. ცვლილება: დირექტორის 2022 წლის 31ოქტომბრის #01–34 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. #8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრულ შესაბამისობასია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთანშ ესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.

შპს ინტერბიზნესის აკადემია ავტორიზებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,სკოლამდელი აღზრდა“ ახორციელებს 2022 წლიდან და დღემდე პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 40 პროფესიული სტუდენტი. გამომდინარე გაზრდილი მოთხოვნიდან, დაწესებულების მიერ გაკეთებული იქნა განაცხადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 90 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდის მიზნით, რომლის განხორციელების უზრუნველსაყოფად მათ მიერ დამატებით მოწყობილი იქნა სასწავლო აუდიტორიები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და შეამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სამი A გარემო (N302, N401, N503) და ერთი B გარემო (N501). A გარემოს თითოეული აუდიტორია აღჭურვილია საჭირო რესურსით 25 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1 მონიტორი, 1 პრინტერი და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი. B გარემოს აუდიტორია აღჭურვილია საჭირო რესურსით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი) 30 პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ გათვალისწინებულია ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლება: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ა(ა)იპ N9 საბავშვო ბაგა-ბაღთან (28.09.2021- 31.12.2026წ.წ N03-08) და N197 საბავშვო ბაგა-ბაღთან (28.09.2022- 31.12.2026წ.წ N03-08).

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხარეთა ერთობლივი საქმიანობით შპს ინტერბიზნესის აკადემიის სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორაგნიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, პარტნიორი ორგანიზაცია აკადემიის კურსდამთავრებულების დასაქმებაში პრიორიტეტს მიანიჭებს.

შპს ინტერბიზნესის აკადემია ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც გამოყოფს პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას პროგრამის, სასწავლო გეგმის, სწავლების თემატიკის და ხანგრძლივობის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის, სწავლებისა და შეფასებასთან, ასევე შეფასების გაფორმებასთან დაკავშირებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ხოლო პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას ერთდროულად მიიღოს 60 პროფესიული სტუდენტი (N197 საბავშვო ბაგა-ბაღი 40 პროფესიული სტუდენტი და N9 საბავშვო ბაგა-ბაღი 20 პროფესიული) და უზრუნველყოს მათი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შესაბამისი აღჭურვილობით, მასალითა და ნედლეულით, გამოყოს აკადემიის წინაშე ანგარიშგებაზე და ინფორმაციის გაცვლაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ასევე ორგანიზებას გაუწევს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვას, უზრუნველყოფს მათთვის სასწავლო/სამუშაო გარემოსა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო გარემოს შექმნას.

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაციას ნამდვილად აქვს შესაძლებლობა ერთდროულად მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების მითითებული რაოდენობა, გააცნოს მათ დაწესებულების შინაგანაწესი და ქცევის წესები, მოახდინოს მათი გადანაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც პროფესიული სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ ყველა ასკის სკოლამდელ აღსაზრდელს, შეისწავლონ მათი ასაკობრივი თავისებურებები, გაეცნონ შესაბამისი ჯგუფის დღის წესრიგსა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. პარტნიორი ორგანიზაციებში - საბავშვო ბაგა-ბაღებში ფუნქციონირებს საკმარისი ოდენობის სააღმზრდელო ჯგუფები და დაკომპლექტებულია ყველა საჭირო კვალიფიციური კადრით, როგორიცაა სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ლოგოპედი და ა.შ.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის (ჯამში 90 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით, ორ მიღებაზე გადანაწილებით გამოცხადების პერიოდისთვის დაწესებულების მიერ განსახილველ პროფესიულ პროგრამაზე აუთვისებელი კვოტის მიხედვით მაქსიმუმ 3 ჯგუფის დაკომპლექტების მიზნით (მხოლოდ, ერთდროულად არაუმეტეს 60 პროფესიული სტუდენტისა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯის გაფორმებული ხელშეკრულებებში მითითებული პროფესიული სტუდენტების ჯამური ოდენობის მიხედვით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (90) გათვალიწინებით.

2.2.1.2. საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 23 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, მათგან 14 მათგანი ახორციელებს პროეფსიულ მოდულებს, ხოლო 9 მათგანი კი ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირია. თითოეული მათგანთაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო მათთან გაფორმებული ხელშეკრულება კი არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“. ამასთან, პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია დაწესებულების დებულებათა კრებულის 32-ე მუხლით.

აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეები, ვიზიტის ფარგლებში კი მოხდა მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პირები დაკავებულ პოზიციაზე შეირჩნენ კვცალიფიკაციისა და მათი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგი პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

შპს ინტერბიზნესის აკადემიას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია დაწესებულების დებულებათა კრებულის 31 [1] მუხლში, საკვალიფიკაციო მოთხოვნები კი განსაზღვრულია აკადემიის შინაგანაწესით, მუხლი 3 [1]; „აკადემიის დებულებათა“ კრებულის თანახმად პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ნიშნავს აკადემიის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირბა–შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში,დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვაში და ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების უფროსების მიერ დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაციაც და დარგობრივი კომპეტენციაც უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, მას სრულად აქვს გათავისებული მისი ფუნქცია-მოვალეობები, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში და მზად არის მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაშიც.

აღნიშნულის თანახმად, დასტურდება რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი. დაწესებულებას ცალკე გამოყოფილი აქვს სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6.სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ვიზიტის ფარგლებში შპს ინტერბიზნესის აკადემიის ვიზუალური დათვალიერება და დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, კიბეებზე დამონტაჟებული მოძრავი პანდუსი და ადაპტირებულია სველი წერტილი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა გაწერილია დაწესებულების დებულებათა კრებულის 51[1] მუხლით. დოკუმენტის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული სტუდენტისთვის სხვადასხვა დამდგარ გარემოებებს და მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, პროფესიული სტუდენტის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ნიშნავს მძიმე ან/და ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევის ან მრავლობითი დარღვევის მქონე სდუდენტისათვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. ყოველი სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში განისაზღვრება: 1. სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები; 2. დრო, რომელსაც პროფესიული მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას; 3. პროცესებზე პასუხისმგებელი პირი; 4. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალა, დამატებითი ტექნიკური რესურსი;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას სსსმ პროფესიული სტუდენტის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით (დასკვნის შესაბამისად).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროების შემთხვევაში, აკადემიის დირექტორის ბრძანებით იქმნება გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს დაწესებულების დირექტორს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ბიუჯეტით პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია ჯგუფში მინიმუმ 16 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

შემოსავლების ნაწილი მოიცავს: სწავლის საფასურსა და დიპლომის საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის ხელფასი. 2.ადმინისტრაციის ხელფასი და ერთჯერადი კონტრაქტები მომსახურეობაზე. 3. კომუნიკაციის ხარჯი. 4. რეკლამის ხარჯი. 5. სამეურნეო ხარჯი. 6. სტუდენტური სერვისები. 7. განვითარების ხარჯი. 7. სხვა ხარჯები.

შპს ინტერბიზნესის აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებული შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის N01–31 ბრძანებით, ცვლილება: დირექტორის 2022 წლის 31ოქტომბრის N01–34 ბრძანება;
- შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია;
- 2017წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“ ;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- პროგრამის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

1. დღის განრიგი

5.12.2022 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: